თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი #11

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–23, სტუდენტი – 2, სულ–25 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #1)

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

4. მიმდინარე საკითხები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა ითხოვა დღის წესრიგში შემდეგი საკითხის დამატება: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 21 დეკემბრის #11 სხდომის დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის (თსუ რექტორის ბრძანება №837/01-04, 27.04.2009) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ **თამარი ჩერქეზიშვილის** დიპლომის დანართის მომზადება. დანართის მომზადების პროცესში საჭირო გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად თამარი ჩერქეზიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით

საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **თამარ ჩერქეზიშვილი** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე 2004 ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებების), შტატების და მუშაკთა რიცხოვნობის მოსალოდნელი შემცირების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანებით კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი გაერთიანდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტში.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად თამარ ჩერქეზიშვილმა აითვისა 243 კრედიტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრბულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 აპრილის №837/01-04 ბრძანებით ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბიუჯეტო სწავლების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ თამარ(ი) ჩერქეზიშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№002440 (სარეგისტრაციო №002440) რეგისტრირებულია თამარ ჩერქეზიშვილის სახელზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 2008 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის ან დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. ამასთან, დადგინდა, რომ 2008 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ წარმოებული ოქმები არ იძებნება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრბულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 აპრილის №837/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზესის ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად თამარ ჩერქეზიშვილთან ერთად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით მიენიჭა 17 კურსდამთვრებულს სპეციალობით სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში და ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით - 26 კურსდამთავრებულს ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობით.

პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით და 2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე კურსდამთავრებულთა სწავლის, ბაკალავრის აკადემიური ხარისხების მინიჭებისა და მათ სახელზე ბაკალავრის დიპლომების გაცემის ფაქტი. ვინაიდან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ 2008 წელს კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. თამარი ჩერქეზიშვილი) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენთან კონსულტაციებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების

ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 აპრილის №837/01-04 ბრძანებით 2008 წლის კურსდამთავრებულ თამარი ჩერქეზიშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 27 აპრილი*** და ოქმის ნომრად ***№837/3***.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 აპრილის №837/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №837/01-04, 27.04.2009).*

მოისმინეს: 1995 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ პოლიტიკური ეკონომიის *(დღე)*, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების *(დღე)*, სტატისტიკის *(დღე, დაუსწრებელი)*, აღრიცხვა და კონტროლის *(დღე)*, ფინანსები და კრედიტის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, ფასწარმოქმნის *(დღე)*, მაკროეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* და წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე

მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1995 წლის კურსდამთავრებულ **ჟანნა ჯოლოგუას** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად ჟანნა ჯოლოგუას სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ჟანა რევაზის ასულ ჯოლოგუას** 1992 წელს ნება დაერთო ჩააბაროს განსხვავებული საგნები ეკონომიკის ფაკულტეტის საღამო სწავლების შრომის ეკონომიკის

სპეციალობაზე გადმოსაყვანად ტაჯიკეთის (ქ. დუშამბე) სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ბრძანება №4/630, §4, 10.09.1992).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 23 ივნისის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1995 წლის 9 აგვისტოს №4/531 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს სწავლების კურსდამთავრებულ **ჟანნა რევაზის ასულ ჯოლოგუას** მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია შრომის ეკონომიკის სპეცილობით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1995 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი აუ№028210 (სარეგისტრაციო №01/209) რეგისტრირებულია **ჟანა რევაზის ასულ ჯოლოგუას** სახელზე.

შენიშვნა: *საარქივო ცნობიდან ირკვევა პირად საქმეში და ბრძანებებში დაშვებული უზოსტობები. კერძოდ:*

1. *1992 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში ეკონომიკის ფაკულტეტზე **ჟანნა** ჯოლოგუას შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება;*
2. *ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის სხდომის ოქმებში **ჟანა** ჯოლოგუას შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება;*
3. *1995 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში ეკონომიკის ფაკულტეტზე **ჟანა** ჯოლოგუასთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება;*
4. *1995 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი **ჟანნა** ჯოლოგუას სახელზე რეგისტრირებული არ არის;*
5. *ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების ასლი პირად საქმეში არ არის;*
6. *ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ სტუდენტის სასწავლო გარათი წარმოებულია ჟანა რევაზის ასულ ჯოლოგუას სახელზე;*
7. *ტაჯიკეთის უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური ცნობა და სტუდენტის სასწავლო გარათი არის ჟანნა რევაზის ასული ჯოლოგუას (Джологуа Жанна Ревозиевна) სახელზეჯ*
8. *საშუალო განათლების ატესტატი გაცემული ჟანნა რევაზის ასული ჯოლოგუას სახელზე;*
9. *პირდ საქმეში არსებული დიპლომის დანართი, რომელსაც არ აქვს პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები და ბეჭედი (ე.წ. დიპლომის დანართის „შავი პირი“) შევსებულია ჟანნა რევაზის ასულ ჯოლოგუას სახელზე.*

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1995 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და

დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 36 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. მიხეილ ჯიბუტი; წევრები: პროფ. გრიგოლ თოდუა, პროფ. ბიკენტი გაბიძაშვილი, პროფ. პარმენ ლემონჯავა, პროფ. გიორგი ადეიშვილი, დოც. ელენე ხარაბაძე, დოც. ელგუჯა მექვაბიშვილი)* მიერ 1995 წლის 24 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი. მათგან სამ ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი (№18), ხოლო სამი ოქმი უნომროა.

ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: საქ.ფინ.მინისტი დ. იაკობიძე; წევრები: პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ა. ერგემლიძე, პროფ. ვ. ზურაბაშვილი, დოც. ც. სეხნიაშვილი)* მიერ 1995 წლის 1 ივნისს წარმოებულია 11 ოქმი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომრები (№1, №2, №3, №4, №5, №6, №9, №10, №11, №12 და №13).

ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: საქ.ფინ.მინისტი დ. იაკობიძე; წევრები: პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ა. ერგემლიძე, პროფ. ვ. ზურაბაშვილი, დოც. ც. სეხნიაშვილი, დოც. ნ. ბერძენაძე, დოც. პ. ბერიშვილი, დოც. თ. ციგროშვილი)* მიერ 1995 წლის 1 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი და მისი ნომერია №7.

ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: საქ.ფინ.მინისტი დ. იაკობიძე; წევრები: პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ა. ერგემლიძე, პროფ. ვ. ზურაბაშვილი, დოც. ც. სეხნიაშვილი, დოც. ნ. ბერძენაძე, დოც. ლ. ღუდუშაური)* მიერ 1995 წლის 1 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი და მისი ნომერია №8.

ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: საქ.ფინ.მინისტი დ. იაკობიძე; წევრები: პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ა. ერგემლიძე, პროფ. ვ. ზურაბაშვილი, დოც. ც. სეხნიაშვილი, დოც. ნ. ბერძენაძე)* მიერ 1995 წლის 1 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი და არ აქვს მინიჭებული ნომერი.

ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის დოც. ყუფუნია გ.ს.; წევრები: პროფ. ჭიაბრიშვილი თ.ა., დოც. ხუხუა ი.დ., უფ/მასწ. ყარაშვილი ჰ.შ.)* მიერ 1995 წლის 26 ივნისს წარმოებულია 7 ოქმი. მათგან ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომრები. მათ ნომერია №19.

ეკონომიკური ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ჰ.გ.გიორგაძე; წევრები: პროფ. ო.ნ. საღარეიშვილი, პროფ. ო.ლ. გიორგობიანი, დოც. ი.ი.გიგოშვილი, დოც. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქალატონ რუსუდან სანადირაძეს ხარგედია)* მიერ 1995 წლის 23 ივნისს წარმოებულია 9 ოქმი და და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება. ამასთან მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს კომისიების და თარიღების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების პოლიტიკური ეკონომიის *(დღე)*, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების *(დღე)*, სტატისტიკა *(დღე, დაუსწრებელი)*, აღრიცხვა და კონტროლი *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***პოლიტიკური ეკონომიის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№18/პ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №18, 24.06.1995;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №18, 24.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№18/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №18, 24.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***აღრიცხვა და აუდიტის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№18/3***.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და კრედიტი *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (სახელმწიფო ბიუჯეტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 1.06.1995;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (კრედიტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №2, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (სახელმწიფო შემოსავლები)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (მრეწველობის ფინანსები)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (კრედიტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (მრეწველობის ფინანსები)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №6, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (ბიუჯეტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №7, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (კრედიტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის

1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №8, 1.06.1995;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (მრეწველობის ფინანსები)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №9, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (სახელმწიფო ბიუჯეტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №10, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (კრედიტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №11, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი (ფასიანი) განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (სახელმწიფო ბიუჯეტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №12, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი (ფასიანი) განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (საბანკო საქმე)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №13, 1.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ფინანსები და კრედიტი (კრედიტი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 1 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 1 ივნისი*** და ნომრად ***№14/3***.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ფასწარმოქმნის *(დღე)* და მაკროეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ფასწარმოქმნის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მაკროეკონომიკის (სპეცჯგუფი)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მაკროეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების ***მაკროეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მაკროეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მაკროეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995;***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი (ფასიანი) განყოფილების ***მაკროეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №19, 26.06.1995.***

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, წარმოების ეკონომიკისა და მართვის (დღე) და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ჟანნა რევაზის ასული ჯოლოგუა) ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***შრომის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№4/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მრეწველობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მრეწველობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№6/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მრეწველობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№7/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***წარმოების ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№8/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***სოფლის მეურნეობის ეკონომიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1995 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№9/3***.

5. ზემოაღნიშნული პირობა მიზანშეწონილია გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1995 წლის 1, 23, 24 და 26 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმები; 2. ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 1 ივნისის სხდომის ოქმები; 3. ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 26*

ივნისის სხდომის ოქმები; 4. ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმები) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა საკითხი „თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთვრებულთათვის მინიჭეული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ“. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (№23537/29, 20.12.2017), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა **გიორგი ტატანაშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაკონკრეტება და მისთვის დიპლომის დანართის მომზადება. დავით ტატანაშვილის სახელზე ახალი დიპლომის დანართის მოსამზადებლად, თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად უნდა შეიქმნას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ დავით ტატანაშვილი 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმის“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №5) დახარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის („საბანკო საქმე“) სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ტატანაშვილს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №001304 (სარეგისტრაციო №01/1930) რეგისტრირებულია დავით ტატანაშვილის სახელზე.

დავით ტატანაშვილის სახელზე გაცემულ დიპლომში აღნიშნულია, რომ ***„დავით ტატანაშვილი 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.***

დავით ტატანაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რათა დავით ტატანაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის (B №001304, სარეგისტრაციო №01/1930) შესაბამისად შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმე“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“** მიენიჭოთ **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმის“ სპეციალობის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ დავით ტატანაშვილს მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“***.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმის“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმის“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ამონაწერი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების პროფესორთა სხდომის ოქმიდან (08.12.2017, ოქმი#1), რომლის მიხედვითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდეს: აკად. ვ. პაპავა და პროფ. რ. გველესიანი.

ამავე სხდომის ოქმის მიხედვით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის, მოდულის ,,თეორიული ეკონომიკა“ ხელმძღვანელებად დამტკიცდეს პროფ. ე. მექვაბიშვილი და პროფ. თ. ბერიძე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. თ შენგელიამ, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდეს: აკად. ვ. პაპავა და პროფ. რ. გველესიანი.
2. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდულის ,,თეორიული ეკონომიკა“ ხელმძღვანელებად დამტკიცდეს პროფ. ე. მექვაბიშვილი და პროფ. თ. ბერიძე.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #1)

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის ძირითადი მუხლები. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ზოგიერთი მუხლი შემცირებულია 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით და დეტალურად განიხილა ძირითადი მიზეზები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. ხადურმა, აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. ბერიძემ ყურადღება გაამახვილა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის თანამშრომლობის საკითხზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ამ პერიოდის მანძილზე დაგროვდა ბევრი საკითხი, რომელიც მოითხოვს შესწავლას და შესაბამის რეაგირებას, ამიტომ მან საბჭოს წევრებს შესთავაზა წინადადება სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, რომელშიც შევლენ როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასევე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენლები.

დეკანმა აღნიშნა, რომ მომავალი წლის ორ თვეში ყველა საკითხი იქნება შესწავლილი, დადგენილი და განხილული და შემდეგ საბჭოს სხდომაზე მოხდება მისი განხილვა. სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობის საშუალება ექნება ყველა მსურველს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით (დანართი #1);

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემუშავებულ იქნას საერთო კრიტერიუმები ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური პერსონალის საშტატო რიცხოვნობის განსაზღვრისათვის;
3. იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის განმავლობაში, გაიზრდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა რიცხოვნობა და შესაბამისად რეალური შემოსავალი გადააჭარბებს დაგეგმილ შემოსავლებს, დამატებით შემოსული თანხები მიმართული იყოს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის იმ მუხლების ზრდისაკენ, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის ფაკულტეტი.
4. ეთხოვოს ფაკულტეტის დეკანს შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2 თვის ვადაში შეისწავლის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შემოსავლებსა და ხარჯებს; კომისიის მუშაობის შედეგად მიღებული დასვნები განხილულ იქნას ფაკულტეტის საბჭოზე.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ,,ტურიზმი“ სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევში განხორციელებული ცვლილების შესახებ

/პროფ. ი. ხელაშვილი/

ბატონმა ი. ხელაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის სხდომაზე (12.12.2017, ოქმი#11) მიღებულ იქნა გადაწტვეტილება, რომ სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევში, რომელიც გათვალისწინებულია მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის, განხორციელდეს ცვლილება - დაემატოს არჩევითი კომპონენტი ,,საველე კვლევა.“ აღნიშნული კვლევა დაფინანსებულია უმაღლეს განათლებაში APPEAR-ის (ავსტრიის საპარტნიორო პროგრამის) მიერ თსუ-ს გრანტის ფარგლებში. საველე კვლევის მიზანია პრაქტიკული სამუშაოების, საველე კვლევის ფორმატში ტრანსდისციპლინური მიდგომების და მეთოდების გამოყენებით თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურად შესრულების თვალსაზრისით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის ,,ტურიზმი“ სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევში აღნიშნული ცვლილება - დაემატოს არჩევითი კომპონენტი ,,საველე კვლევა.“

მოისმინეს: საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი (სბგც) ”კავკასიის” ხელმძღვანელის, ს. ბარამიძის ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

ბატონმა ს. ბარამიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2017 წლის 22 დეკემბერს, 15:00, გაიმართება **GBDC - ის ქსელში** შემავალი ორგანიზაციების მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის და 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების პრეზენტაცია. ღონისძიების დასასრულს გაიმართება GBDC - ის პარტნიორი საოჯახო მარნების ბიოლოგიური ღვინოების დეგუსტაცია.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე